პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მუშათმფლელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 73 (10467) | სამშაბათი, 27 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერშია:

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი (1-ლი გვერდი).

ხალხთა მეგობრობის დიადი დროშით. — **მ. ორაგველიძე.** — შეჯიბრების ცხოველმყოფელი ძალა (1-ლი გვერდი).

„ტუ-104“ — რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი (1-ლი გვერდი).

პარტიული აქტივის კრებებზე. — პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები კომუნისტური მშენებლობის საბრძოლო პროგრამაა. ვადამდე შევასრულოთ მეექვსე ხუთწლედის დავალებანი (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი (მე-2 გვერდი).

ა. მორგოშია. — რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი (მე-3 გვერდი).

ჯ. ჭიოკაძე. — როცა სიტყვა საქმეს შორდება (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს [illegible] მარის პირველი მოადგილე ეკონომიკური [illegible] ტანში. ამხ. ა. ი. მიქოიანი (1-ლი გვერდი).

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენცია (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა სტუდენტი

საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად საქართველოს შრომელებმა მხურვალედ მოიწონეს სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებები და აქტიურად ჩაებნენ მათი განხორციელებისათვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახულია სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების გრანდიოზული პერსპექტივები. დირექტივებით გათვალისწინებულია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტთა საერთო გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდება.

ეს გარემოება ავალებს უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელებს გადაჭრით გაუმჯობესონ სასწავლო პროცესი, ამაღლონ მეცნიერებათა საფუძვლების გადაცემის ხარისხი. უმაღლესმა სასწავლებლებმა ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადება, მეცნიერ მუშაკთა კადრების აღზრდა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა უნდა დაუქვემდებარონ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულ ამოცანებს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალგაზრდა სპეციალისტთა კომუნისტურ აღზრდას. საჭიროა სტუდენტებს გამოვუმუშაოთ კომუნისტური მორალის ძვირფასი თვისებები, განვუვითაროთ საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, აღვზარდოთ ისინი საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 19 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც სწავლობს 42 ათასამდე სტუდენტი. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამ სასწავლებლებმა 10 ათასზე მეტი სპეციალისტი გამოუშვეს. ისინი ამჟამად თავდადებულად მუშაობენ ჩვენი თვალწუწდენი სამშობლოს ყველა კუთხეში — ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე.

მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ავალებს ჩვენს სტუდენტებს მთელი თავიანთი ჭაბუკური გზნება და უშრეტი ენერგია მოახმარონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დაუფლების საქმეს, ბეჯითად, შეუპოვრად ისწავლონ, წარმატებით მოემზადონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე დამოუკიდებელ მუშაობაში ჩასაბმელად.

ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების, მათი ხელმძღვანელების, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში დაბალ დონეზე დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ზოგიერთი სტუდენტი ხშირად აცდენს ლექციებსა და სემინარებს, ცუდად სწავლობს საგნებს, იჩენს უდისციპლინობას, არ ასრულებს სასწავლებლის შინაგანაწესს, უხეშად ექცევა პროფესორ-მასწავლებლებსა და უფროსებს.

ცოტა როდია სტუდენტთა მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, ლოთობისა და ამორალური ქცევის შემთხვევები. მარტო გასულ სასწავლო წელს თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტიდან 16 სტუდენტი გაირიცხა აკადემიური ჩამორჩენილობისა და დისციპლინის დარღვევისათვის. დისციპლინის უხეში დარღვევისა და ხულიგნური მოქმედების შემთხვევებია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. მეზაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტიდან მიმდინარე სასწავლო წელს გარიცხულ იქნა კომკავშირელი გ. ნიკოლაიშვილი, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა თავის ამხანაგს. ხულიგნური ქმედებისა და წესრიგის დარღვევის ფაქტებს აქ სხვა ფაკულტეტებზეც ვხვდებით.

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა დიდი უმრავლესობა კომკავშირელებია. ეს გარემოება დიდ მოვალეობას აკისრებს კომკავშირულ ორგანიზაციებს სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში.

სამწუხაროდ, კომკავშირული ორგანიზაციები მხოლოდ შემთხვევითი ღონისძიებებით კმაყოფილდებიან, ცოცხალ, ინიციატივიან მასობრივ მუშაობას ხშირად ცვლიან სასხდომო ფუსფუსით, მოსაწყენი დარიგებებით. მათს მუშაობაში თავს იჩენს ხოლმე ფორმალიზმი.

კომკავშირული ორგანიზაციის ცუდ მუშაობაზე ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტის ერთი ჯგუფი, რომელშიც 24 კომკავშირელი ირიცხება, ამას წინათ არ გამოცხადდა ლაბორატორიულ მეცადინეობაზე და კინოში წავიდა.

სტუდენტთა შორის არადამაკმაყოფილებელი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგია ისიც, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ეჯარს აცხადებს განაწილების მიხედვით რაიონში ან სხვა რესპუბლიკაში სამუშაოდ წასვლაზე. მაგალითად, ჯერ კიდევ არ წასულა სამუშაოზე 34 ექიმი, რომლებმაც გასულ წელს დაამთავრეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი.

საბჭოთა სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი აგებულია სწავლისა და აღზრდის ერთიანობის პრინციპზე. საჭიროა ისე მოვაწყოთ სასწავლო პროცესი, რომ თვითეული ლექცია, თვითეული მეცადინეობა ეხმარებოდეს სტუდენტთა არა მარტო აკადემიურ მომზადებას, არამედ მათს კომუნისტურ აღზრდასაც. ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტის ბევრი პროფესორი და მასწავლებელი მხოლოდ ლექციების წაკითხვას სჯერდება და არ მონაწილეობს სტუდენტთა აღზრდის საქმეში, არ იჩენს ინტერესს სტუდენტთა ცხოვრებისა და საქმიანობისადმი. ასეთი მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა ინსტიტუტებშიც.

სტუდენტთა კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს. ნაგრამ მთელ რიგ ინსტიტუტებში მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, პოლიტიკურ ეკონომიაში, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმსა და სხვა დისციპლინებში ზოგიერთი ლექცია და სემინარი დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა, მოწყვეტილია ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა გადაჭრით უნდა გაუმჯობესონ მუშაობა. მათ დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ისტორიაში პიროვნების როლის მარქსისტულ-ლენინური გაგების ფართოდ განმარტებას, ნათლად უჩვენონ ისტორიაში ხალხთა მასების გადამწყვეტი როლი და აწარმოონ შეუნელებელი ბრძოლა პიროვნების კულტის წინააღმდეგ, რომელიც უცხოა მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებისათვის.

მთავარი პასუხისმგებლობა სტუდენტთა აღზრდის საქმეში უმაღლესი სკოლების პარტიულ ორგანიზაციებს ეკისრებათ. მაგრამ მათი მუშაობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს წაყენებულ მოთხოვნებს. სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებაში — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ცუდად მუშაობენ პარტიული ორგანიზაციები აგრეთვე მთელ რიგ სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც. პარტიის რაიონული კომიტეტები საჭირო ყურადღებას არ აქცევენ უმაღლესი სკოლების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას, სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის ბრძოლას.

პარტიისა და მთავრობის მიერ უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დასახული ახალი დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს გადაჭრით გაუმჯობესონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა სტუდენტ ახალგაზრდობას შორის.

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესწავლა მტკიცედ უნდა დავუკავშიროთ ჩვენს ყოველდღიურობას, ახალგაზრდობის იდეოლოგიური აღზრდის ყოველმხრივი გაუმჯობესების საქმეს.

უმაღლესი სასწავლებლების პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციებისათვის არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საბჭოთა სტუდენტების აღზრდა კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის და ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით.

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულება

ამბროლაურის რაიონმა 25 მარტისათვის მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებისა და შესყიდვის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები შეასრულა: ხორცისა — 100,2 პროცენტით, ყველისა — 100,4 პროცენტით, კვერცხისა — 372,2 პროცენტით.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ხანგრძლივობის გადიდების შესახებ

დედისა და ბავშვის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1956 წლის 1 აპრილიდან ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება გადიდდეს 77-დან 112 კალენდარულ დღემდე და დაწესდეს შვებულების ხანგრძლივობა 56 დღე მშობიარობამდე და 56 დღე მშობიარობის შემდეგ, ამასთან ამ პერიოდში გაიცეს დახმარება დადგენილი წესით:

არანორმალური მშობიარობის ან ორი და მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში მშობიარობის შემდეგ შვებულების ხანგრძლივობა დაწესდეს 70 კალენდარული დღე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წლის 26 მარტი.

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი

1956 წლის 26 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი და კრუტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტი ნიკოლოზი.

მიღებას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭოს თავმჯდომარე გ. გ. კარპოვი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოქმის უფროსი ე. ა. ტარაბრინი. (საკდესი).

თათბირი აღმოსავლეთის ატომგულის საკვლევი ინსტიტუტის დაარსების საკითხის შესახებ

24 მარტს აღმოსავლეთის ატომგულის საკვლევი ინსტიტუტის დაარსების საკითხის შესახებ საერთაშორისო თათბირზე განიხილავდნენ ამ ინსტიტუტის შექმნის შესახებ შეთანხმების პროექტს.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თათბირის მონაწილე ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. თათბირმა აირჩია კომისია შეთანხმების ტექსტის საბოლოო რედაქციისათვის.

26 მარტს თათბირი მუშაობას განაგრძობს.

საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის გასვლითი კიშინიოვში

კიშინიოვი, 24 მარტი. (საკდესი). მოლდავეთის ფილარმონიის დარბაზში გაიმართა საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის საბოლოო კონცერტი. ანსამბლმა კიშინიოველებს უჩვენა საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა. კოლექტივის გასტროლებმა დიდი წარმატებით „ჩაიარა.

კონკურსი სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების შენობათა ტიპურ პროექტებზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის არქიტექტორთა კავშირმა გამოაცხადეს ღია ხრულიად საკავშირო კონკურსი სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების შენობათა ტიპურ პროექტებზე. კონკურსის მონაწილეთა წინაშე დასახულია ამოცანა: შეიმუშაონ 250 და 400-ადგილიანი ორი შენობის პროექტები საშუალო ზონაში ასაგებად და ამდენივეადგილიანი ორი შენობის პროექტები ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში ასაგებად. ყოველ სანატორიუმ-დასასვენებელ სახლს უნდა ჰქონდეს მთელი წლის განმავლობაში მოქმედი მთავარი კორპუსი და სეზონური დანიშნულების გამარტივებული კონსტრუქციის მთელი რიგი საწოლი კორპუსები.

შენობები უნდა გამოირჩეოდნენ კარგი არქიტექტურით და უნდა ჰქონდეთ მოხერხებულად დაგეგმილი ხათავსები.

კონკურსის პირობებით გათვალისწინებულია დამხმარე სათავსების მნიშვნელოვანი შემცირება, მშენებლობის ღირებულების მკვეთრი შემცირება, ასაწყობი კონსტრუქციებისა და ქარხანაში დამზადებული დეტალების, ახალი ეფექტიანი მასალებისა და მოწყობილობის ფართოდ გამოყენება.

საბოლოოდ მასალები კონკურსზე წარმოდგენილ უნდა იქნას მოსკოვში არაუგვიანეს 15 ივნისისა. (საკდესი).

ხალხთა მეგობრობის დიადი დროშით

შეჯიბრების ცხოველმყოფელი ძალა

ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა კუთხეში იციან სიმღერა პარტიზან ჟელეზნიაკზე.

გენიჩესკის რაიონის პარტიზანების სადგურიდან, რომელსაც ეს სახელი ჟელეზნიაკის სახელოვან მებრძოლთა პატივსაცემად ეწოდა, მიდის ფართო გზა ლეგენდარულ სივაშამდე.

გზის გაყოლებით გადაშლილია ნაყოფიერი ყანები, უხვი ბალები და ვენახები. თვალუწვდენელ საძოვრებზე სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მრავალრიცხოვანი ძროხები, ცხვრის ფარები და ცხენის ჯოგებია. სტალინის სახელობის კოლმეურნეობა გაიზარდა მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად, რომელშიც 720 კომლი გაერთიანდა.

გაიზარდა და განმტკიცდა მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაც. სოფელ მიქელგაბრიელის მშრომელები 1931 წელს გაერთიანდნენ სასოფლო-სამეურნეო არტელში, თავის სოფელს შეუცვალეს სახელი „მიქელგაბრიელი“ და უწოდეს შრომა.

დღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ზრუნვისა და დახმარების შედეგად იზუკუისკის თემის ხუტორების და მიქელგაბრიელის სოფლის ყოფილმა ბედკრულმა მშრომელმა გლეხობამ საკოლმეურნეო წყობილების მეოხებით დაამკვიდრა შეძლებული, ბედნიერი და საამური ცხოვრება.

ორივე კოლმეურნეობის შესანიშნავ მიღწევებში დიდი როლი შეასრულა მათ შორის გაშლილმა შემოქმედებითმა თანამეგობრობამ და სოციალისტურმა შეჯიბრებამ. 1938 წლის 12 მაისიდან დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის და საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებს შორის.

ორივე კოლმეურნეობამ ნამდვილი ძმური დახმარება გაუწია ერთმანეთს.

სოფელ შრომაში გამოიყო 3 ჰექტარი ციტრუსების ბაღი, რომლის მოსავალს ყოველწლიურად ვგზავნით უკრაინაში.

უკრაინელებმა დიდი დახმარება გაუწიეს ჩვენს კოლმეურნეობას. დღეს ჩვენ გვყავს მათ მიერ გამოგზავნილი ველის წითელი ჯიშის 32 ძროხა, 1 ბულა-მწარმოებელი, 20 დეკეული, 10 დედაღორი, 1 ულაყი-მწარმოებელი. თუ გასულ წლებში ერთ საფურაქე ძროხაზე საშუალოდ ვიღებდით 160 ლიტრ რძეს, უკრაინელების დახმარებით წველადობა აყვანილ იქნა 1.000 ლიტრამდე.

კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი მეგობრობა დიდი სამამულო ომის პირიდან. მძიმე დროს კიდევ უფრო მტკიცე გახადა ერთმანეთთან შეჯიბრებაში მყოფი ორი კოლმეურნეობის წევრთა ძმური მეგობრობა.

სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ბევრმა კოლმეურნემ გულთბილი თავშესაფარი ჰპოვა სოფელ შრომაში. როგორც თავიანთ მშობლიურ სახლში, ისე მოდიოდნენ აქ ევაკუირებული უკრაინელი კოლმეურნეები, აგრეთვე დაჭრილი გენიჩესკელი მებრძოლები და ოფიცრები. შრომაში, მახლობელ ადამიანთა წრეში, ნელდებოდა მშობლიური ადგილის დროებით დაკარგვის შედეგად გამოწვეული მწვავე ტკივილი.

ათასობით წერილი მოდენებოდა ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხიდან შრომის კოლმეურნეობაში, რომელიც აღსავსე იყო შრომელი კოლმეურნეებისადმი გულითადი მადლობით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა კონკრეტულ პასუხს წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობა ორივე კოლმეურნეობაში.

უკრაინელი და ქართველი კოლმეურნეები გამსჭვალულნი არიან იმ შეგნებით, რომ სოციალისტური შეჯიბრება არის ნაცადი საშუალება, რომლის დახმარებით კოლმეურნე გლეხობა აღწევს შესანიშნავ წარმატებებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში.

სტალინის სახელობის კოლმეურნეობას გასულ წელს მარტო მეცხოველეობამ მისცა 3,5 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი. გადაჭარბებით შესრულდა ძროხის, ცხენის, ცხვრის, ღორისა და ფრინველის სულადობის ზრდის გეგმები.

ამჟამად კოლმეურნეობას ჰყავს 600 სულამდე ჯიშიანი პირუტყვი, 15.000-ზე მეტი ნაზმატყლიანი ჯიშის ცხვარი. მაღლდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ბევრმა მწველავმა თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღო 3-4 ათასი ლიტრი რძე. თვითეული ცხვრის საშუალო ნაპარსმა არტელში 5 კილოგრამს მიაღწია.

შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები შარშან წარმატებით შეასრულა ჩვენმა კოლმეურნეობამაც. გეგმით გათვალისწინებული 750 ლიტრის ნაცვლად ერთ საფურაქე ძროხაზე მოწველილია 1.000 ლიტრი რძე. მოკრეფილ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარდა 1.200 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 1.050 ტონისა. მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 23 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად შეჯიბრებით ნაკისრი 19 ცენტნერისა. გასულ წელს ფულადმა შემოსავალმა 12 მილიონ მანეთს მიაღწია. თვითეულ შრომადღეზე გაიცა 30 მანეთი და 5 კილოგრამი მარცვლეული.

ასე ძლიერდება და ფართოვდება ამ ორი კოლმეურნეობის სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც კოლმეურნეობების საზღვარს გასცილდა. ახლა ერთმანეთს ეჯიბრებიან გენიჩესკისა და მახარაძის რაიონების მშრომელები. მათი შემოქმედებითი თანამეგობრობა და სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

მ. ორაგველიძე,

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი.

„ტუ-104“ — რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი

„პრავდის“ კორესპონდენტის საუბარი სოციალისტური შრომის გმირთან აკადემიკოს ა. ნ. ტუპოლევთან

თვითმფრინავი „ტუ-104“ ჩქაროსნული რეაქტიული მანქანაა, რომელიც განკუთვნილია მაგისტრალურ საჰაერო ხაზებზე ექსპლოატაციისათვის. თვითმფრინავზე დადგმულია ორი მძლავრი რეაქტიული ძრავა. მისი კრეისერული სისწრაფეა 800 კილომეტრი საათში.

თვითმფრინავი მონაწილეობას იღებდა საჰაერო პარადში ტუშინოს აეროდრომზე გასული წლის ივლისში, როდესაც მის ფრენას თვალს ადევნებდნენ ასეულ ათასობით მოსკოველი და დედაქალაქის სტუმრები.

ეს არის მთლიანლითონის მანქანა, რომელიც როგორც ატყვიან, უკანასკნელ მოქლონამდე მთლიანად აგებულია სამამულო მასალებისაგან. მთელი მოწყობილობაც — საყოფაცხოვრებო და სხვა, — ასევე მთლიანად სამამულო წარმოებისაა.

„ტუ-104“-ს შეუძლია გადაიყვანოს 50 მგზავრი ბარგით. მგზავრები თავსდებიან კომფორტაბელურ, ჰერმეტიზებულ კაბინში. ეს შესაძლებელს ხდის ფრენას 10 ათას მეტრ სიმაღლეზე, ესე იგი ღრუბლებს ზემოთ და ძლერი „რყევის“ ზონის გარეთ. ამასთან კაბინის შიგნით ჰაერის წნევა იქნება ისეთივე, როგორიც 3 ათას მეტრ სიმაღლეზე. ყოველ მგზავრს, თუ სურვილი ექნება, შეუძლია ისარგებლოს ჟანგბადიანი ინდივიდუალური ხელსაწყოთი.

მგზავრებისათვის ფრენისას შექმნილია მოხერხებული პირობები: საკარძლებს აქვთ გადასაწევი საზურგეები, რომელთა დაქანების კუთხე შეიძლება შეიცვალოს. სწორედ ასევე იცვლება თვით დასაჯდომის დახრის კუთხეც. კაბინში უცვლელად დაცულია 20 გრადუსი ტემპერატურა ცელსიუსით, აგრეთვე ჰაერის მუდმივი ტენიანობა. ფრენის დროს მგზავრებს შეუძლიათ მიიღონ ცხელი და ცივი საუზმე, სადილი.

თვითმფრინავს, თუ იგი გაშვებულ იქნება ტურისტული ვარიანტით, შეუძლია წაიყვანოს 70-მდე კაცი. მისი ეკიპაჟი ექვსი კაცისაგან შედგება: ორი პილოტი, შტურმანი, რადისტი, ბორტინჟინერი და ბორტგამცილებელი.

ძირს დაუშვებლად „ტუ-104“ თვითმფრინავს შეუძლია იფრინოს, მაგალითად, მოსკოვიდან ნოვოსიბირსკამდე (3.000-3.200 კილომეტრი). მოსკოვ-ხაბაროვსკის ხაზზე თვითმფრინავის მუშაობისას ამ პუნქტებს შუა ფრენას სულ დასჭირდება 9-10 საათი. მგზავრები, რომლებიც ხაბაროვსკიდან გაფრინდებიან ადგილობრივი დროით დილის 6 საათზე, უკვე მოსკოვის დროით დილის 8 საათზე მოსკოვში იქნებიან. სწავლისრად რომ ვთქვათ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ფრენის მთელ გზაზე ნათ შეუძლიათ უცქირონ მზის ამოსვლას.

მანქანას აქვს ისრისებრი ფრთა და ფრთასწმენდელა, სრულყოფილი გარსმოდენადი ფორმა. ეს უზრუნველყოფს ფრენის მაღალ სისწრაფეს.

თვითმფრინავზე დადგმულია ყველაზე თანამედროვე რადიოსანავიგაციო, რადიოლოკაციური და რადიოკავშირგამცემლობის მოწყობილობა. არის აგრეთვე მოწყობილობა აეროდრომებზე გრძივ დასაშვებად და ფრენის დროს ავტომატური პილოტირებისათვის. ყოველივე ეს თვითმფრინავს საშუალებას აძლევს იფრინოს ყოველგვარ მეტეოროლოგიურ პირობებში. მას შეუძლია მოახდინოს რეგულარული რეისები შორ მანძილზე წლისა და დღეღამის ყოველ დროს. მანქანას შეუძლია იფრინოს ზამთარიც კი, როცა ერთი რეაქტიული ძრავა მუშაობს, ამასთან ფრენის სიმაღლე 5.000 მეტრზე მეტი იქნება.

ამჟამად საბჭოთა საჰაერო მრეწველობა „ტუ-104“ თვითმფრინავს უშვებს სერიულად.

22 მარტს „ტუ-104“ მარკის ერთ-ერთმა თვითმფრინავმა ლონდონში ჩაიყვანა ჯგუფი საბჭოთა მუშაკებისა, რომლებიც იქ ჩავიდნენ ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინგლისში მომავალი ვიზიტისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

(„პრავდა“, 25/III).



სურათზე: რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი „ტუ 104“ სტარტზე.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐᲐ

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ყრილობის დელეგატის ამხ. ო. გოცირიძის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებისა და სოხუმის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ კომუნისტები, სოხუმის ყველა მშრომელი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვნად იწონებენ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც დასახულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საბრძოლო პროგრამა. სულ უფრო და უფრო ვითარდება მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობა, ძლიერდება სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. ქალაქის ბევრი სამრეწველო საწარმო სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე წარმატებით ახორციელებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, ზრდის პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებს მის ხარისხს. მთლიანად სოხუმის მრეწველობამ მიმდინარე წლის განველილ ორ თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, როგორც აქტივის კრებაზე აღინიშნა, მრეწველობის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ მოუწყობელია შრომა, სუსტად წარმოებს ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოებაში მეცნიერების მიღწევების დანერგვისათვის. ამის გამო თევზის კომბინატი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და აფხაზეთის სარეწაო საბჭოს საწარმოები შეუწყნარებლად ჩამორჩებიან სახელმწიფო დავალებათა შესრულებაში. არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სამშენებლო ორგანიზაციები: „ზაკტრანსსტროის“ ტრესტის № 7 სამშენებლო უბანი, „აზჩორრობსტროის“ სოხუმის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველო და სხვები, რომლებიც არ ასრულებენ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებს, ცუდად იყენებენ ტექნიკას.

ს. ორჯონიკიძის სახელობის ტყავფეხსაცმლის კომბინატის დირექტორმა ამხ. ა. ლვინჯილიამ ილაპარაკა საწარმოში არსებულ ნაკლოვანებებზე. მან გააკრიტიკა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, რომელიც კომბინატს არ უწევს საჭირო დახმარებას. ორატორმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის ტყავნედლეულის ქარხანა (დირექტორი რ. ნიკოლაიშვილი) კომბინატს დაბალხარისხოვან ნედლეულს აწვდის.

სოხუმის ხამრეწველო კომბინატის დირექტორმა ამხ. შ. ჭანტურიამ განაცხადა, რომ კომბინატის მეტ წილ საამქროებში ჭარბობს კუსტარულობა, ხელით შრომა, რაც დაბლა სწევს შრომის ნაყოფიერებას. ქალაქის სხვადასხვა ადგილას ერთი და იმავე პროფილის საამქროების არსებობა ხელს უშლის ახალი ტექნიკის დანერგვას, ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესებას.

აქტივის კრებაზე სოციალისტურ შეჯიბრებაში ფორმალიზმის მრავალი მაგალითი მოიყვანა რკინიგზის სოხუმის კვანძის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. ცომაიამ. მან გააკრიტიკა ტრესტი „ზაკტრანსსტროი“ და სხვა სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც მეტად აჭიანურებენ საბინაო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო ობიექტების მშენებლობას.

აფხაზეთის ასსრ დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში ამხ. გ. ძიძარიამ დააყენა საკითხი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა რეორგანიზაციის შესახებ.

პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ი. თარბამ, მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ნ. ხუციძემ, სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორმა ამხ. ა. მიქაძემ ილაპარაკეს იდეოლოგიური მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. სკოლებსა და სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაბალი დონით აიხსნება, რომ ზოგიერთი მოსწავლე და სტუდენტი წესიერად არ იქცევა საზოგადოებრივ ადგილებში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. მ. ჩიქოვანმა, კომკავშირის სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. შირიაევამ, აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ამხ. ნ. გერიამ, კავშირგაბმულობის აფხაზეთის საოლქო კანტორის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ე. რეზნიჩენკომ, გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ რედაქტორმა ამხ. გ. სემიონოვმა და სხვებმა.

აქტივის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და აღნიშნა, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაციები, სოხუმის მშრომელები, რომლებიც მტკიცედ არიან დარაზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მთელ თავიანთ ძალებს მოახმარენ პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებას.



თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ თავისი არსებობის განმავლობაში 150-მდე სხვადასხვა მოდელის მრავალი ათეული ათასი ცალი ლითონდასამუშავებელი ჩარხი გამოუშვა. **სურათზე:** მეთერთმეტე საამქროს მოწინავე ამწყობი ზეინკალი პ. ნიტესოვი, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს 250 პროცენტით ასრულებს, მუშაობს მილსაჭრელი ჩარხის აწყობაზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲒᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲐᲦᲘᲭᲣᲠᲕᲔᲒᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲗ

ბათუმის მენავსადგურეები წარმატებით აწარმოებენ ტვირთების დამუშავებას. ისინი, მიუხედავად სახალხო-სამეურნეო ტვირთის დიდი ნაკადისა, დღიურ დავალებებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებენ. წლის დამდეგიდან აქ გეგმის გადამეტებით დამუშავებულია ათასობით ტონა ტვირთი.

ნავსადგურის ტვირთბრუნვა ყოველ წელს იზრდება. მეექვსე ხუთწლედში სამუშაოთა მოცულობა მეხუთე ხუთწლედთან შედარებით ერთისამად და უფრო მეტად გადიდდება. ამასთან დაკავშირებით ნავსადგური აღიჭურვება ახალი ტექნიკით, წარმოებს ნავმისადგომების, მოედნების რეკონსტრუქცია.

დაიწყო მუშაობა ფხვიერი ნაყარი ტვირთის ნავმისადგომის რეკონსტრუქციისათვის. აქ დააგებენ ამწისკვეშა ლინდოგს. იდგმება ხუთი ახალი მძლავრი პორტალური ამწე. სამ სხვა ნავმისადგომზე, სადაც წარმოებს სასუსტათო ტვირთის მიღება და გადაგზავნა, იდგმება სპეციალური სატვირთაფები, რომლებითაც მუშაობა იწარმოებს ყოველ ამინდში.

ნავსადგური იღებს მთელ რიგ ავტო და ელექტროსატვირთაფებს, ტრანსპორტიორებს და მცირე მექანიზაციის სხვა საშუალებებს. შენდება ახალი საწყობები.

ხუთწლედის დამლევისათვის მთელი ტვირთის 95 პროცენტი მექანიზმებით დამუშავდება. (საქდესი).

ᲝᲠᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲒᲠᲔᲑᲐ

ამას წინათ ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირმა მიიღო მიმართვა რაიონის ყველა კოლმეურნის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის 1956 წელს სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

თათბირის მოხაწილენი კისრულობენ: სიმინდი მწკრივად დათესონ 4.600 ჰექტარზე, კვადრატულ-ბუდობრივად — 500 ჰექტარზე, აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის ზუსტად განხორციელებით საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 19 ცენტნერი სიმინდი, 9 ცენტნერი სოია და 8 ცენტნერი ლობიო, წელს ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მიიღონ 35,3 ცენტნერი ხორცი, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველონ 730 ლიტრი რძე. მნიშვნელოვნად გაადიდონ ღორის ხორცის წარმოება. 1956 წელს გაასუქონ სულ ცოტა 1.215 ღორი, კოლმეურნეობებში თვითეულ დედაღორზე საშუალოდ მიიღონ 12 გოჭი, ხოლო მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში — 20, თვითეული ტრაქტორის დატვირთვა შარშანდელთან შედარებით წელს გაადიდონ 12 პროცენტით, თვითეული ჰექტარი ნახნავის თვითღირებულება შეამცირონ 2 მანეთით, ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულონ 102 პროცენტით, მნიშვნელოვნად შეამცირონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულება.

მათ გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს აგრეთვე მევენახეობის, ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული კულტურების, მეხილეობის, ეთერ-ზეთოვანი, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების და მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ცხაკაიელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს გეგეჭკორის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკები.

(„კომუნისტის“ კორ.).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲜᲝᲢᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 18 თებერვალს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას გადაეცა საბჭოთა მთავრობის ნოტა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ამერიკის საჰაერო ბურთების შემოშვების საკითხზე.

1 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს [illegible] ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შემდეგი საპასუხო ნოტა:

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ 1956 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲜᲝᲢᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო უდასტურებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავის პატივისცემას და პატივი აქვს გაუგზავნოს თავისი მთავრობის შემდეგი ცნობა.

შეერთებული შტატების მთავრობა დასტურებს, რომ მიიღო საბჭოთა მთავრობის 1956 წლის 18 თებერვლის ახალი ნოტა, რომელიც შეიცავს პროტესტს შეერთებული შტატების მეტეოროლოგიური ბურთების შემშვების წინააღმდეგ და წინადადებას — მოეწყოს იმ მასალის გამოფენა, რაც საბჭოთა მთავრობის განკარგულებაშია.

ფაქტები, რომლებიც ამ საკითხს შეეხება, საბჭოთა მთავრობას ეცნობა შეერთებული შტატების მთავრობის 1956 წლის 8 თებერვლის ნოტით. ამ ნოტას დართული ჰქონდა პრესისათვის გადაცემული იმ ცნობის ბარი, რომელიც გადმოქვეყნდა ქალაქ ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქი, 1956 წლის 8 იანვარს, რომელშიც დაწვრილებით იყო აწერილი ბურთების გაშვების გეგმა მისი განხორციელების დაწყებისას. შეერთებული შტატების მთავრობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობამ განზრახ არ გამოაქვეყნა თავის პრესაში საინფორმაციო მასალა, რომელსაც ეს ცნობა შეიცავდა პრესისათვის, რასაც მან შეცდომით უწოდა ცნობა, რომელიც ეხება შეერთებული შტატების მხოლოდ შინაგან წესებს.

როგორც წინათ იყო განცხადებული, შეერთებული შტატების თავისუფლად მფრინავი საჰაერო ბურთები დიდი ხანია გამოყენებულია პროგრესის მიზნით მეტეოროლოგიური კვლევის დარგში. საბჭოთა მტკიცება იმ საფრთხის შესახებ, რომელსაც ასეთი ბურთები ქმნიან საჰაერო მიმოსვლის რაიონებისათვის, დეზორიენტაციას ქმნის, ისევე როგორც საბჭოთა მტკიცება ბურთების გაშვების ძნელის შესახებ ათასობით მეტეოროლოგიური ბურთი იყო გაშვებული ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში და არ შეუქმნიათ დაბრკოლება საჰაერო ტრანსპორტისათვის ან საფრთხე სიცოცხლისა და ქონებისათვის მიწაზე. საბჭოთა მთავრობა და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი მთავრობა არიან ერთადერთი ქვეყნები, რომლებიც ამას ეწინააღმდეგებიან. აღინიშნება, რომ საბჭოთა მთავრობამ არ ისარგებლა წინადადებით, რომელიც შეერთებული შტატების მთავრობამ წამოაყენა 1956 წლის 8 თებერვლის ნოტაში, რომ შეერთებული შტატების ხელისუფლებათან ერთად განეხილა იმ დაცველი მოწყობილობის ხასიათი, რომელიც ბურთებს აქვთ.

მაშინ, როცა საბჭოთა მთავრობა ეწინააღმდეგებოდა შეერთებული შტატების მეტეოროლოგიური ბურთების გაფრენას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, მისი საკუთარი ბურთები დაფრინავდნენ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე და ეშვებოდნენ ძირს. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის საჰაერო ბურთები დაფრინავდნენ შეერთებული შტატების ტერიტორიაზე და რომ მიღებულია სარწმუნო ცნობები რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის იაპონიის, თურქეთის, ირანის, ფინეთისა და გერმანიის, ტერიტორიებზე საბჭოთა კავშირის საჰაერო ბურთების აღმოჩენის შესახებ. ლოგიკური არ არის, რომ საბჭოთა მთავრობას სურდეს თავისთვის ერთი წესები და დანარჩენი მსოფლიოსათვის კი სხვა წესები.

საბჭოთა მთავრობას არ დაუბრუნებია მეცნიერული ხასიათის ქონება, რომელიც სამართლით ეკუთვნის შეერთებულ შტატებს და რომლის გამოყენებასაც საბჭოთა მთავრობა ცდილობს თავისი პროპაგანდისტული მიზნებისათვის. იმეორებს რა თხოვნას აღინიშნა მოწყობილობის დაბრუნების შესახებ, შეერთებული შტატების მთავრობა აცხადებს, რომ მზად არის დაბრუნოს საბჭოთა კავშირის მოწყობილობა, რომელიც მის განკარგულებაში მოხვდა.

შეერთებული შტატების მთავრობას მტკიცედ სწამს, რომ საბჭოთა მთავრობის კანონიერი შეშფოთება შეერთებული შტატების ბურთების შეშვების შესახებ დაკმაყოფილდა შეერთებული შტატების მთავრობის იმ გადაწყვეტილებით, რომელსაც მისი 1956 წლის 8 თებერვლის ნოტა შეიცავდა, რომ წინასწარი წესით შეეწყვიტა ბურთების გაშვება, რომლებსაც შეიძლებოდა გადაეფრინათ საბჭოთა ტერიტორიაზე. ამრიგად, რამდენადაც შეერთებული შტატების მთავრობამ მხედველობაში მიიღო საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო აზრი, როგორც ჩანს, არ არსებობს არც მეცნიერული, არც სხვა რაიმე გონივრული მიზანი, რისთვისაც საჭირო იქნებოდა მოწყობილიყო ისეთი ხასიათის გამოფენა, როგორსაც საბჭოთა მთავრობა მოითხოვს. შეერთებული შტატების მთავრობას შეუძლია მხოლოდ იგარაუდოს, რომ გამოფენების მოწყობით ან სხვა გზებით ამ საქმის განგრძობის მიზანი იქნებოდა პროპაგანდა, ალბათ საერთაშორისო ვითარების გამწვავებისათვის ნაგარაუდევი.

მიანნია რა, რომ ისეთი გამოფენა, როგორსაც საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, სამსახურს ვერ გაუწევს რაიმე კონსტრუქციულ მიზნებს, შეერთებული შტატების მთავრობა, რათა ხელი შეუწყოს პროგრესს იმ საკითხში, რომელიც ყველა მთავრობას ინტერესებს, მზად არის საერთაშორისო მასშტაბით საბჭოთა მთავრობასთან და სხვა დაინტერესებულ მთავრობებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ტექნიკისა და მოწყობილობის, მათ შორის იმ ტიპის ბურთების გამოყენების ერთობლივი პროგრამა, რომლებზეც ლაპარაკია საბჭოთა ნოტაში და რომლებიც მან დაამზადა მეტეოროლოგიური კვლევისათვის. შეერთებული შტატების მთავრობის წინასწარი აზრით, ამ წინადადების განსახორციელებლად შეიძლებოდა სათანადოდ გამოგვიყენებინა საერთაშორისო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის საშუალებანი“.

24 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ-ნი უ. უოლმსლი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის შემდეგი შინაარსის ნოტა:

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ 1956 ᲬᲚᲘᲡ 24 ᲛᲐᲠᲢᲘᲡ ᲜᲝᲢᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

„ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამა წლის 1 მარტის იმ ნოტასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში ამერიკის საჰაერო ბურთების შემოშვების საკითხზე საბჭოთა მთავრობის 18 თებერვლის ნოტის პასუხს, საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

4 და 18 თებერვლის თავისი ნოტებით საბჭოთა მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება მიაქცია იმას, რომ ოკეანსკნელ დროს მოხდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიული ხელშეუხებლობის არაერთგზის დარღვევა იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში შემოშვებულ იქნა ამერიკის საჰაერო ბურთები, რომლებზეც დაკიდებული იყო 650 კილოგრამი წონის ტვირთი, რომელიც შედგებოდა აპარატურისაგან, რაც შეიცავდა ავტომატურად მოქმედ ფოტოკამერებს ადგილების აეროფოტოგადაღებისათვის, რადიოგადამცემებს, რადიომიმღებებს და სხვ. ნოტებში მოყვანილი იყო შემოწმებული ცნობები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტებში მოყვანილ მტკიცებას, თითქოს საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში შემოშვებული ამერიკული ბურთები განკუთვნილია მეტეოროლოგიური კვლევისათვის და საფრთხეს არ უქმნიან საჰაერო მიმოსვლას.

საბჭოთა მთავრობა თავისი ნოტებით მტკიცედ მოითხოვდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მიეღო სასწრაფო და ეფექტიანი ღონისძიებანი, რათა აღარ დაეშვა ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ სსრ კავშირის საჰაერო სივრცის ხელშეუხებლობის დარღვევა.

1 მარტის საპასუხო ნოტაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იმეორებს მტკიცებას, რომლის უსაფუძვლობა აღნიშნული იყო საბჭოთა მთავრობის წინანდელ ნოტებში. ამასთან ერთად მან არ მიიღო წინადადება საბჭოთა კავშირში დაჭერილი ამერიკის ბურთების გამოფენის მოწყობის შესახებ და აცხადებს, თითქოს ასეთი გამოფენების მიზანი იქნებოდა პროპაგანდა, თუმცა ასეთი განცხადების უსაფუძვლობა აშკარაა. მაგრამ წინადადებას ბურთების გამოფენის მოწყობის შესახებ მიზნად ჰქონდა ნიშნობრივად დამტკიცებინა, რომ ამ ბურთებს საერთო არა აქვთ რა მეტეოროლოგიური კვლევის ამოცანებთან და სულ სხვა მიზნებს ემსახურებიან. აქედან გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო ვითარების გამწვავების გამოწვევა შეუძლია სრულიადაც არა ასეთი გამოფენების მოწყობას, არამედ ამერიკის ხელისუფალთა ოკეანონო მოქმედებას, რომლებიც საჰაერო ბურთებს უშვებენ სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში და ამით არღვევენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ნოტა ამტკიცებს, თითქოს საბჭოთა კავშირიც უშვებს ბურთებს სხვა ქვეყნების საჰაერო სივრცეში და თითქოს საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში ამერიკის საჰაერო ბურთების შემოშვების საკითხზე. [illegible] ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შემდეგი საპასუხო ნოტა:

ᲓᲐᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრომ დამტკიცა 1956 წელს დაუსწრებელ და საღამოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესები. ამ უმაღლეს სასწავლებელთა ფაკულტეტებზე და განყოფილებებში ასაკის გათვალისწინებულად მიიღებენ მოქალაქეებს, რომლებსაც დამთავრებული საშუალო განათლება აქვთ და მუშაობენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში, სახელმწიფო დაწესებულებებში, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ ორგანიზაციებში. შესასვლელი გამოცდების ჩამბარებელთა რიცხვიდან შესვლისას უპირატესი უფლებით სარგებლობენ მოქალაქენი, რომელთა მუშაობის ხასიათი შეესაბამება მოცემული ფაკულტეტის ან უმაღლესი სასწავლებლის პროფილს, დემობილიზებულნი საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან, აგრეთვე მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლების კურსდამთავრებულნი. თავისუფალი ადგილების არსებობისას შეიძლება ჩარიცხულ იქნენ ის პირები, რომელთა მუშაობის ხასიათი არ შეესაბამება არჩეულ სპეციალობას, მაგრამ ამ პირობით, რომ ისინი შესაბამის სამუშაოზე გადავლენ სწავლის პირველი სამი წლის განმავლობაში.

საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში სახელმწიფო, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული აპარატის მუშაკთა მიღებისას ანგარიშს გაუწევენ მათ შრომითს საქმიანობას ამჟამად და წინა წლებში.

შესასვლელი გამოცდების ჩაუბარებლად დაუსწრებელთა რიცხვში მიიღებიან ის პირები, რომლებიც საშუალო სკოლის დამთავრებასას დაჯილდოებული არიან ოქროს და ვერცხლის medlebiთ და მუშაობენ ფაკულტეტის ან უმაღლესი სასწავლებლის პროფილის შესაბამის სპეციალობაში. ამ შეღავათით სარგებლობენ აგრეთვე სპეციალური საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომები, და დიდი სამამული ომის მონაწილენი, რომლებსაც აქვთ საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების ატესტატი, სწავლის დამთავრების წლის მიუხედავად.

რუსეთის სფსრ განათლების სამინისტრომ დაუსწრებელ და საღამოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი წესები გაავრცელა აგრეთვე პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებში შემსვლელებზე. დამატებით მიეცემოდა მითითება: მიიღონ ამ განყოფილებებზე 5-10 კლასების მასწავლებლები უკონკურსოდ. დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, პარტიული, კომკავშირული აპარატის მუშაკებსა და სახალხო განათლების დაწესებულებათა მუშაკებს კონკურსით თავისუფალ ადგილებზე მიიღებენ 5-10 კლასების მასწავლებლებია ჩარიცხვის შემდეგ.

ამ კატეგორიის მუშაკებს, რომლებმაც სამასწავლებლო ინსტიტუტები დამთავრეს 1939 წელს და შემდგომ წლებში, მიიღებენ მათი სპეციალობის მიხედვით განსაკუთრებულ ჯგუფებში სწავლის სამი წლის ვადით ყველა ისინი შესასვლელ გამოცდებს აბარებენ.

კატეგორიულად აკრძალულია პედაგოგიური ინსტიტუტების დაუსწრებელ განყოფილებებზე მიიღონ ის პირები, რომლებიც არსად არ მუშაობენ.

დაუსწრებელ და საღამოს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ საგნებში, არჩეული სპეციალობის მიხედვით. შესასვლელი გამოცდები წარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამებით. (საკდესი).

რევოლუციის მგზნებარე ჯრიბუნი

ს. მ. კიროვის დაბადების 70 წლისთავი

სამოცდაათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დაიბადა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი, დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი სერგეი მირონის-ძე კიროვი (კოსტრიკოვი).

ს. მ. კიროვი დაიბადა 1886 წლის 27 მარტს ვიატკის გუბერნიის (ახლანდელი კიროვის ოლქი) ქ. ურჟუმში. კიროვი ჭაბუკობიდანვე ჩაება მემამულეურ-კაპიტალისტური ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და მთელი თავისი სიცოცხლე ამ საკაცობრიო საქმეს მოახმარა. იგი მრავალჯერ იქნა დაპატიმრებული მეფის მთავრობის მიერ, მაგრამ რეპრესიებმა ვერ გატეხა მგზნებარე რევოლუციონერის ნებისყოფა.

რევოლუციის პირველ წლებში კიროვი ასტრახანის რევკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, ხელმძღვანელობდა რა ასტრახანის გმირულ დაცვას, ს. მ. კიროვი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დავალებით უზრუნველყოფდა რეგულარულ კავშირს, ხელმძღვანელობასა და დახმარებას იატაკქვეშ მომუშავე კომუნისტებისადმი, დენიკინის ჯარების ზურგში მომუშავე დაღისტნისა და თერგის პარტიზანებისადმი.

1919 წლის ნოემბერში კიროვის ხელმძღვანელობით XI არმიამ ასტრახანის მისადგომებთან სასტიკად დაამარცხა დენიკინის ჯარები. XI არმიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ცარიცინის განთავისუფლებაში. ცარიცინის განთავისუფლების შემდეგ დაიწყო XI არმიის გმირული ბრძოლები ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლებისათვის. 1920 წლის იანვარში შეიქმნა ჩრდილო კავკასიის რევკომი, რომლის წევრადაც კიროვი იქნა არჩეული. ს. კიროვის და ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით წითელი არმიის ნაწილებმა უზრუნველყვეს საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა ჩრდილოეთ კავკასიაში.

დენიკინის ბანდებისაგან ჩრდილოეთ კავკასიისა და დაღისტნის განთავისუფლების შემდეგ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები უცხოელი ოკუპანტებისა და კონტრრევოლუციური მთავრობების უღლისაგან ამიერკავკასიის ხალხების განთავისუფლებისათვის. ჩამოყალიბდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი.

XI არმიამ ამხანაგების ს. კიროვის, ს. ორჯონიკიძისა და ა. მიქოიანის მეთაურობით აქტიური დახმარება აღმოუჩინა აზერბაიჯანის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. 1920 წლის 29 მაისს ს. მ. კიროვი რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს პლენუმის 1921 წლის დასაწყისში პროფკავშირული დისკუსიის დროს, რომელიც ტროცკიმ მოახვია პარტიას თავს, ს. მ. კიროვი სათავეში ედგა ჩრდილოეთ კავკასიის ბოლშევიკებს და მტკიცედ რაზმავდა მათ ლენინური პლატფორმის გარშემო. 1921 წლის თებერვალში თერგის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე კიროვი ერთხმად იქნა არჩეული რკპ (ბ) მე-10 ყრილობის დელეგატად. ყრილობამ იგი რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩია.

ს. მ. კიროვი ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას იღებდა კავკასიაში პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების განმტკიცების საქმეში. 1921 წლის აპრილში კიროვი ხელმძღვანელობს მთიელთა დამფუძნებელი კრების მუშაობას კავკაზში, ხოლო 1921 წლის მაისში იგი მონაწილეობს კავბიუროს პლენუმის მუშაობაში, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა; ს. მ. კიროვი კავბიუროს პრეზიდიუმში იქნა არჩეული. იგი 1921 წლის ივლისში ს. ორჯონიკიძესთან ერთად მონაწილეობას იღებს რკპ (ბ) კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში. ამავე წელს ს. მ. კიროვი არჩეულ იქნა აზერბაიჯანის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

ს. მ. კიროვის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის მშრომელებმა აღადგინეს ბაქოს ნავთის მრეწველობა და დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში. კიროვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დანერგვის საქმეს; მისი ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის რესპუბლიკა გადაიქცა მებამბეობის მეორე ბაზად საბჭოთა კავშირში. ს. მ. კიროვმა დიდი მუშაობა გასწია აზერბაიჯანის ფორმით ნაციონალური და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურის განვითარებისათვის.

1926 წლის იანვარში კიროვი არჩეულ იქნა საკავშირო კპ (ბ) ლენინგრადის საგუბერნიო კომიტეტისა და საკავშირო კპ (ბ) ც. კ-ის ჩრდილოდასავლეთის ბიუროს მდივნად. კიროვის მეთაურობით ლენინის ქალაქის ბოლშევიკებმა გაანადგურეს ტროცკისტულ-ზინოვიევური კონტრრევოლუციური ბანდა ლენინგრადში.

სერგეი მირონის-ძე კიროვი იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცხოვრებაში გატარებისათვის აქტიური მებრძოლი. კიროვის სახელთან დაკავშირებულია შეუპოვარი მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე; იგი დაუღალავად რაზმავდა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს კომუნისტური პარტიის გარშემო, შეჰხაროდა კომუნიზმის მშენებლობას.

ს. მ. კიროვი იყო ორგანიზატორი, პრაქტიკოსი და ტრიბუნი, ამავე დროს მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში.

1926 წლიდან კიროვი იყო საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, 1930 წლიდან — პოლიტბიუროს წევრი, ხოლო 1934 წლიდან — საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების მდივანი.

მრავალმხრივი და სანიმუშო იყო ს. მ. კიროვის ცხოვრება და მოღვაწეობა. მან სიცოცხლე შესწირა კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. საუკუნეებში იცოცხლებს მშრომელთა გულში მგზნებარე ტრიბუნის, ფოლადისებური ბოლშევიკის ნათელი სახე.

ა. მოროზოვი.

ლ ე ქ ც ი ე ბ ი ს ც ი კ ლ ი

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 30 მარტიდან აწყობს საჯარო ლექციების ციკლს, მიძღვნილს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებისადმი.

ლექციები წაკითხულ იქნება სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, საერთაშორისო ურთიერთობის, ეკონომიკისა და ტექნიკის და სხვა საკითხებზე.

ლექციები მოეწყობა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საააქტო დარბაზში.

რაიონულ კულტურის სახლში

ამბროლაური. (საკ. კორ.). რაიონულ კულტურის სახლში საგრძნობლად გამოცოცხლდა მუშაობა. ახალი წლიდან ნაყოფიერად მეცადინეობენ სიმღერისა და ცეკვის, ჭრა-კერვისა და დრამატული წრეები. განსაკუთრებით კარგად მუშაობს დრამატული წრე, რომელიც იანვარსა და თებერვალში აღადგინა ერთი პიესა და განახორციელა ორი ახალი დადგმა.

ამბროლაურის კულტურის სახლის სცენაზე მაყურებელმა პირველად ნახა ვაჟა-ფშაველას „ოკეანეთელი“ და ა. წერეთლის „ირანტო“. კოლმეურნეობათა მომსახურების მიზნით დრამატულმა წრემ თავისი დადგმები აჩვენა ლიხეთისა და ჭრებალის საკოლმეურნეო კლუბებში.

ამ დღეებში დრამატული კოლექტივი დგამს ა. ცაგარლის „ქართველ დედას“ და პარალელურად მუშაობს რ. თაბუკაშვილის პიესაზე „რაიკომის მდივანი“.

მაგრამ კულტურის სახლის მუშაობაში კვლავ მეორდება გასულ წლის ნაკლოვანებანი. დღემდე არ ჩამოყალიბებულა ფერონომიული, ლიტერატურული, ჭადრაკის და სხვა წრეები. არ იკითხება ლექციები სასოფლო-სამეურნეო, საერთაშორისო მდგომარეობისა და სხვა საკითხებზე.

ახალი წიგნი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოებრივ სარბიელზე გამოვიდა ქართველ მოღვაწეთა რამდენიმე თაობა, რომლებმაც პროგრესული რუსული მეცნიერებისა და ლიტერატურის მიღწევები შემოქმედებითად გამოიყენეს და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს დაუკავშირეს. ამ პერიოდის მწერალთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ეკატერინე გაბაშვილს.

ეკრემია ქარელიშვილს თავის ზიგზში — „ეკატერინე გაბაშვილი“, რომელიც შედგება თოთხმეტი თავისაგან: ორი ობოლი, უსიხარულო ბავშვობა, კეთილი მამა, სწავლას მოწყურებული, ფავრის პანსიონში, ახალგაზრდა მასწავლებელი, პირველი ნაბიჯები მწერლობაში, ორი მეოცნებე, ეპოქის შვილი, თავისუფალი სიყვარულის მომღერალი, სოფლის ჭირ-ვარამის მომღერალი, უტოპიური ილუზიები, ბავშვების მეგობარი და ჩვენს დროში, — პოპულარულად აქვს გაშუქებული მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების დამახასიათებელი მომენტები. წიგნი უთუოდ დიდ ინტერესს აღუძრავს მკითხველს ეკატერინე გაბაშვილის შემოქმედების შესწავლისადმი.

წიგნი გამოცემულია საბჭოგამის მიერ 10 ათასი ცალი ტირაჟით, ჩასმულია მაგარ ყდაში, შეიცავს 261 გვერდს და ღირს 7 მან. და 50 კაპ.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციას სოფლკორი სწერდა, რომ ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. კობახიძე უხეშად არღვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას.

წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. სოფელ ცაიშის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის საკითხი განიხილა პარტიის ზუგდიდის რაიკომის ბიურომ. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევისათვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ე. კობახიძეს გამოეცხადა საყვედური საორიგინალო ბარათში შეტანით და რჩევა მიეცა კოლმეურნეობის საერთო კრებას გაათავისუფლოს იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან.

* * *

ჩვენი გაზეთის მკითხველი რედაქციას სწერდა მარცხენა ნაპირის თბილვეებეჭრობის № 58 მაღაზიაში ვაჭრობის წესების დარღვევის შესახებ.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილება რედაქციას ატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ვაჭრობის წესების დარღვევისათვის №58 მაღაზიას გამგეს მ. გრიგორიანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი პაკისტანში

კარაჩი, 24 მარტი. (საკდესი). დღეს დილით საბჭოთა მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი მიიღო პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ისკანდერ მირზამ და ჰქონდა მასთან საუბარი, რამაც საათზე მეტ ხანს გასტანა. საუბარი გულთბილ და თავისუფალ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ა. ი. მიქოიანს ახლდნენ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის ელჩი პაკისტანში ი. ფ. შპიდკო და საელჩოს მრჩეველი ვ. მ. ვოლკოვი.

შემდეგ ა. ი. მიქოიანმა ინახულა პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი მოჰამედ ალი. მოჰამედ ალისთან ა. ი. მიქოიანის შეხვედრის დროს, რამაც საათნახევარს გასტანა, გაიმართა აზრთა გულღია და „სასარგებლო გაზიარება საკითხებზე, რომლებიც მხარეებს ინტერესებთ. საუბარი მიმდინარეობდა მეგობრულ ატმოსფეროში [illegible] ბის ვითარებაში. საუბრის დასასრულს სსრ კავშირის ელჩი [illegible] პაკისტანის საგარეო საქმეთა [illegible] მდივანი ბეიგი.

დღის მეორე ნახევარში ა. ი. მიქოიანი შეხვდა პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრს ჰამიდ-ულ-ჰაკ ჩოუდჰურის და მრეწველობასა და ვაჭრობის მინისტრს რაჰიმტულას. საუბრის მსვლელობაში, კერძოდ, განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება პაკისტანსა და საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და საელჩო ურთიერთობას. საუბარს დაესწრნენ — სსრ კავშირის ელჩი პაკისტანში ი. ფ. შპიდკო, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ბ. ა. მალეტინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს სამმართველოს უფროსი ვ. ბ. სპანდარიანი და პაკისტანში სსრ კავშირის საელჩოს საგარეო მრჩეველი ვ. ა. ვლადიმირსკი.

ამხ. ა. ი. მიქოიანი კარაჩში

კარაჩი, 25 მარტი. (საკდესი). დღეს დილის 10 საათზე საბჭოთა მთავრობის სპეციალურმა წარმომადგენელმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა ინახულა პაკისტანის ეროვნული კრების სპიკერი აბდულ ვაჰაბ-ხანი და ესაუბრა მას. საუბარს დაესწრნენ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, პაკისტანის ეროვნული კრების სპიკერი ბაბერ ალი და ფატიმა ჯინასი. საუბრის დროს ფატიმა ჯინასმ ა. ი. მიქოიანს სთხოვა სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცეს საბჭოთა კავშირის ქალებს და, მომართა რა შ. რ. რაშიდოვს, სთხოვა მას ადრეთვე სალამი გადასცეს უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქალებს.

კარაჩი, 25 მარტი. (საკდესი). ქვემოთ მოყვანილია პაკისტანის საპარლამენტო დელეგაციის საბჭოთა კავშირში მოწვევის სრული ტექსტი, რომელიც დღეს გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა პაკისტანის დამფუძნებელი კრების სპიკერს აბდულ ვაჰაბ-ხანს.

მის აღმატებულებას ბ-ნ აბდულ ვაჰაბ-ხანს
პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეს.

სურს რა ხელი შეუწყოს მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას სსრ კავშირისა და პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის ხალხებს შორის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლეს საბჭოს პატივი აქვს პაკისტანის ისლამური რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრთა დელეგაცია და პირადად თქვენ, ბ-ნო თავმჯდომარე, მოგიწვიოთ საბჭოთა კავშირში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო იმედს გამოთქვამს, რომ დამფუძნებელი კრების წევრთა ასეთი მოგზაურობა ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების კეთილშობილურ მიზნებს. ჩვენ მეტად მადლობელი ვიქნებით, თუ შეიგეგმაყოფინებთ საბჭოთა კავშირში თქვენი დელეგაციის ჩამოსვლის შესაძლებელ მისაღებ დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე
ა. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ლაცისი

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენცია

ბერლინი, 24 მარტი. (საკდესი). დღეს ბერლინში დიდი პოლიტიკური ამბავლობის ვითარებაში გაიხსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენცია.

დელეგატები და სტუმრები მხურვალედ მიესალმებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკს, პრემიერ-მინისტრ ოტო გროტეოლს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვალტერ ულბრიხტს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებსა. და კანდიდატებს, გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს მაქს რაიმანის მეთაურობით, აგრეთვე ჩინეთის კომუნისტური პარტიის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, უნგრეთის მშრომელთა პარტიის, რუმინეთის მუშათა პარტიის, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის, კორეის შრომის პარტიის, ალბანეთის შრომის პარტიის, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, საფრანგეთის, ესპანეთის, შვეიცის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, დანიის, შვეიცარიის, ისრაელისა და სხვ. კომუნისტური პარტიების დელეგაციებს, რომლებმაც ადგილები დაიკავეს კონფერენციის პრეზიდიუმში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენცია გახსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალტერ ულბრიხტმა. იგი გულთბილად მიესალმა კონფერენციაზე ჩამოსულ მომავ კომუნისტური და მუშათა პარტიებს წარმომადგენლებს, სტუმრებს დასავლეთ გერმანიიდან და კონფერენციის დელეგატებს.

ვალტერ ულბრიხტის წინადადებით კონფერენციის დელეგატებმა ფეხზე ადგომით და ერთი წუთის დუმილით პატივი სცეს პოლონელი ხალხის დიდი შვილის, ამ ცოტა ხნის წინათ გარდაცვლილი ბოლესლავ ბიერუტის ხსოვნას.

შემდეგ დელეგატებისა და სტუმრების ტაშის გრიალში ვალტერ ულბრიხტმა გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენციისადმი. მისალმებაში ნათქვამია:

„გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის III პარტიულ კონფერენციას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უთვლის გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის III პარტიულ კონფერენციას.

გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას ვუსურვებთ ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი ეკონომიკის განმტკიცებისა და მშრომელთა მასების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, გერმანიის მუშათა კლასის ერთიანობისა და გერმანიის ამ პირობებით აღდგენისათვის ბრძოლაში, რომლებიც უზრუნველყოფენ ევროპის მშვიდობასა და უშიშროებას.

გაუმარჯოს მშვიდობასა და მეგობრობას საბჭოთა და გერმანელ ხალხებს შორის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი“.

შემდეგ კონფერენცია ერთსულოვნად ირჩევს სამდივნოს, სამანდატო კომისიას, კომისიას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეორე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების შემუშავებისათვის, კომისიას ამ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რომელთა მიზანია დემოკრატიის შემდგომი განვითარება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

კონფერენციამ ერთხმად დამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი.

1. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვალტერ ულბრიხტის მოხსენება — „მეორე ხუთწლიანი გეგმა და სოციალიზმის მშენებლობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

2. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ოტო გროტეოლის მოხსენება — „მუშათა და გლეხთა ხელისუფლების როლი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

პირველ საკითხზე მოხსენებისათვის თავმჯდომარემ ოტო გროტეოლმა სიტყვა მისცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვალტერ ულბრიხტს.

* * *

ბერლინი, 26 მარტი (საკდესი). გუშინ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენციაზე გრძელდებოდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვალტერ ულბრიხტის მოხსენების განხილვა. დელეგატები განიხილავდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიული, სახელმწიფო, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა საკითხებს. აღნიშნავდნენ მუშაობის წარმატებებს და ამეღავნებდნენ მის ნაკლოვანებებს, შეჭრილნდა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება.

კონფერენციის გუშინდელი დილის სხდომა ბიმდინარეობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის ჰ. მატერნის თავმჯდომარეობით. კამათის დაწყების წინ თავმჯდომარემ დელეგატებს აცნობა, რომ მიღებულია რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებათა, დემოკრატიულ პარტიათა და მასობრივ ორგანიზაციათა მრავალი მისალმება კონფერენციისადმი. შემდეგ მატერნმა წაიკითხა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის მისალმება, რომელსაც ხელს აწერს იოსიპ ბროზ-ტიტო.

შემდეგ სიტყვა ეძლევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

(დასასრული მე-4 გვერდზე)

როცა სიტყვა საქმეს შორდება

ჭიათურის ვოროშილოვის სახელობის მაღაროში, რომლის კოლექტივი ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივს ეჯიბრება, ყოველთაოსნობას ეხმაურებიან, ახალ საწარმოო ვალდებულებებს იღებენ და ამ ვალდებულებებს მათ მიერ შეჯიბრებაში გამოწვეულ მაღაროს კოლექტივს უგზავნიან. ჯერ კიდევ შარშან მათ არაერთგზის დადეს საზეიმო პირობა, რომ წლიურ დავალებას ვადამდე შეასრულებდნენ, გაზრდიდნენ შრომის ნაყოფიერებასა და პირველხარისხოვანი მადნის გამოშვებას, შეამცირებდნენ პროდუქციის თვითღირებულებას.

დამთავრდა სამეურნეო წელი, შეაჯამეს შედეგები და აღმოჩნდა, რომ მაღაროს კოლექტივს გეგმის თითქმის არც ერთი მაჩვენებელი არ ჰქონდა განაღდებული. ვალდებულება საქმით არ იქნა განმტკიცებული, იგი პარადულ დაპირებად დარჩა.

დაიწყო ახალი წელი. მაღაროელებმა კვლავ ახალი ვალდებულებები იკისრეს: — პარტიის XX ყრილობას წარმატებით შევხვდებით, წლიურ გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთო. მოსალოდნელი იყო, რომ ვოროშილოვის სახელობის მაღაროში ამჯერად მაინც შეასრულებდნენ პირობას, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ჯერაც ამ მაღაროში გეგმის. ვერც ერთ მაჩვენებელს ვერ ასრულებენ. ვოროშილოვის სახელობის მაღარომ იანვარში, თებერვალსა და მარტის პირველ ნახევარში მეტალურგიულ ქარხნებს დააკლო ასეულ ტონობით მადანი. საგალალო მდგომარეობაა პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების მხრივ. საკმარისია ითქვას, რომ ამ მაღაროს კოლექტივმა მეტალურგიას წელს უკვე დააკლო 6.000 ტონამდე პირველი ხარისხის მადანი. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა შრომის ნაყოფიერების ზრდის და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დარგში. შრომის ნაყოფიერების დავალება აქ 80-85 პროცენტით სრულდება, ხოლო მარტო იანვარ-თებერვალში ზარალმა 625.300 მანეთი შეადგინა. გამოდის, რომ გაუმჯობესების ნაცვლად მაღაროო მუშობას აუარესებს.

ამყამად მაღაროს ვერც ერთი უბანი გეგმას ვერ ასრულებს. თუ თებერვალში დ. შეყილაძისა და ს. შარიქაძის უბნებმა დავალება ძლივს გაანაღდეს, მარტში ისინიც არარიტმულად მუშაობენ. უბნების მიერ გეგმის შესრულება 85-70 პროცენტამდე დაეცა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა იმ უბნებში, რომლებსაც ამხ. დ. ხვედელიძე, დ. გამეზარდაშვილი და ტ. სოფრომაძე ხელმძღვანელობენ.

მაღაროში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია წარმოების კულტურა, იგრძნობა მოდუნება. უხეშად არღვევენ შრომის დისციპლინას. ამასთან სრული დატვირთვით ვერ იყენებენ მექანიზმებს. შეფერხებით მუშაობს ტრანსპორტი, რაც იწვევს მუშახელის დიდ მოცდენას, აქვეითებს შრომის ნაყოფიერებას, ზრდის მადნის თვითღირებულებას. მაღაროს ხელმძღვანელობა კვლავ ნაკლებად ფიქრობს ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების დანერგვა-გავრცელებისათვის.

სანგრევების ხაზი მაღაროში საკმარისი არ არის, დაბალია მოსამზადებელ სამუშაოთა ხარისხი, ნაკლებად ზრუნავენ წარმოების ხვალინდელი დღისათვის: ამიტომ არის, რომ ზოგ სანგრევში მოსგრეული მადანი არ ყოფნით, ხოლო ზოგან — ვაგონები. ამასთან ჯალამბრებისა და ტრანსპორტის მუშაობაში მიღწეული არ არის შეწყობილობა, უბნები დატალახიანებული და დახერგილია. ყოველივე ამის შედეგად მუშები ცდებიან.

ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია დაბალი შრომის დისციპლინა. თებერვალში სამუშაო დღე 24 კაცმა გაცდინა, ხოლო მარტის პირველ ნახევარში გამცდენთა რაოდენობამ 29-მდე მიაღწია. შრომის დისციპლინა და მინდობილი სამუშაოს შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ნაკლებად იგრძნობა წარმოების უმცროს, საშუალო და უფროს მეთაურებში. მაღაროს ხელმძღვანელების განკარგულებათა შესრულებას სავალდებულოდ არ თვლიან უბნის გამგეები, ხოლო უბნის გამგეებისას — ცვლის უფროსები.

მაღაროს ხელმძღვანელობა ჩამორჩენის მიზეზად ასახელებს სამაგრი ხეტყის უქონლობას. მართლაც, ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის გარკვეული რაოდენობით უნდა მიეზიდათ ბიგები, მაგრამ ეს ვერ შეასრულეს. ამავე დროს მაღაროს უბნები გაფანტულია, მათი დამაკავშირებელი გზები კი უვარგისი. ამიტომ არის, რომ აქ სამაგრი მასალის მისაზიდავად იყენებენ მამაპაპურ ურმებს. აქვე არ შეიძლება არ შეენიშნოთ, რომ მაღაროს ხელმძღვანელობამ, რომელიც სამაგრი ხე-ტყის ნაკლებობაზე ჩივის, ამავე დროს იანვარ-თებერვალში 300 კუბურ მეტრზე მეტი ბიგები გადახარჯა.

წელს ვოროშილოვის სახელობის მაღაროში დაინერგა მადნის ღია მოპოვება. სამუშაო ველი უნდა გაეხსნათ და საექსპლოატაციოდ გადაეცათ პირველი იანვრიდან. მაგრამ ექსკავატორი და ბულდოზერი ორი თვის დაგვიანებით მიიღეს, ხოლო როცა მიიღეს, აღმოჩნდა, რომ ეს მექანიზმები საკმარისი არ არის და მათი დახმარებით ყოველდღიურად გეგმის მხოლოდ ნახევარს ძლივს ასრულებენ. ღია სამუშაოების ფრონტი და მისი აღჭურვა უახლესი მექანიზმებით უნდა გაიზარდოს.

მაღაროს ხელმძღვანელი მუშაკები არ უარყოფენ, რომ ჩამორჩენაში დამნაშავენი თვითონ არიან, მაგრამ ამასთან სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ტრესტი, მისი განყოფილებები, ყოველდღიურ სათანადო კონკრეტულ დახმარებას ვერ უწევენ მაღაროს.

მომდინარე წლის 23 თებერვალს მარგანტრესტის ხელმძღვანელობამ ტექნიკური თათბირზე განიხილა მაღაროს მუშაობის საკითხი. მაღაროს დირექტორმა ამხ. შ. შეყილაძემ ბევრი სამართლიანი პრეტენზია წარუდგინა ტრესტს. აზრი გამოთქვეს ტრესტის ტექნიკური განყოფილების უფროსმა მ. ბრეგვაძემ, ინჟინერმა გ. წიწილაშვილმა, ტრესტის მთავარმა ინჟინერმა დ. გელაშვილმა, მთავარმა გამაუხვებელმა კ. ჯინჭველაშვილმა, საპროექტო განყოფილების უფროსმა გ. ფანცულაიამ. თათბირის შემდეგ ვრცელი გრძანება დაიწერა. მაღაროს ხელმძღვანელებსა და ტრესტის განყოფილებებს ბევრი რამ დაევალათ. მაღაროს კოლექტივს დახმარებაც აღუთქვეს, განსაკუთრებით საჰერო სანგრო გზების რეკონსტრუქციასა და საავტომობილო გზების შეკეთებაში, მაგრამ ამის შემდეგ თვეზე მეტი გავიდა და ჯერ თითქმის არაფერი გაკეთებულა. მაღარო ისევ ძველებურად მუშაობს, ხოლო ტრესტიდან კონკრეტული, ქმედითი დახმარება კვლავ არ ჩანს.

კ. ჭიოკაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენცია

(დასასრული).

წევრს ფ. ზელმანს. მან თავისი სიტყვა მიუძღვნა იმ წარმატებებს, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მრეწველობამ მოიპოვა პირველი ხუთწლედის წლებში, და საჭიროველო განვითარების დარგის ამოცანებს მეორე ხუთწლედში.

ამის შემდეგ მისასალმებელ სიტყვას ამბობს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი კან შენი, რომელმაც გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენციის გადასცა გულითადი სალამი და უსურვა წარმატებანი მუშაობაში.

სიტყვა ეძლევა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს მოადგილეს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ჰ. რაუს, რომელმაც თავისი სიტყვა მიუძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის განვითარებას, მრეწველობის სხვადასხვა დარგის და განსაკუთრებით იმ დარგების ამოცანებს, რომლებიც ექსპორტისათვის მუშაობენ. რაუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმპერიალისტთა ცდებისა, — აიძულონ სხვა ქვეყნები არ დამყარონ ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი იზრდება და მტკიცდება.

მან აღნიშნა, რომ ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, კერძოდ დასავლეთ გერმანიაში, იზრდება მოძრაობა იმისათვის, რომ უარი თქვან ამერიკის ემბარგოს ძველ პოლიტიკაზე, ცივი ომის პოლიტიკაზე.

დასასრულ ჰ. რაუს ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

შემდეგ გამოვიდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი პიერ ვოლონი, რომელმაც საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და მშრომელების გულითადი სალამი გადასცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენციას.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ მესამე კონფერენციის სახელზე მიღებულია ინგლისის, იაპონის, ავსტრიის კომუნისტური პარტიის, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებანი. შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენციას მიესალმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი 	di wilhelm pieki.

კონფერენციის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოუსმინეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრსა და ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. შირდევანს. შირდევანი შეეხო იმ დიდ წარმატებებს, რომლებსაც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მიაღწია სახელმწიფო, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის საქმეში. ამასთან მან ხაზგასმით აღნიშნა ხელმძღვანელი როლი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა, რომელიც თავის მუშაობას საფუძვლად უდებს მარქს-ენგელს-ლენინის ყოვლისმძლე მოძღვრებას და რომელმაც მშრომელი მოსახლეობის ფართო მასები დარაზმა თავის გარშემო.

ილაპარაკა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დიდ საერთაშორისო მნიშვნელობაზე, შირდევანმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ყრილობამ მიიღო დებულებანი სხვადასხვა სოციალისტურ მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის და ომის თავიდან აცილების შესაძლებლობის შესახებ, დებულებანი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ფორმების, კომუნისტურ და სოციალისტურ პარტიებს შორის თანამშრომლობის გაფართოების შესახებ.

დასასრულ კ. შირდევანი შეეხო ზოგიერთ ორგანიზაციულ ამოცანას, რომლებიც დასახულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წინაშე მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში, აგრეთვე საკითხს, რომ გაიზარდოს პარტია მუშათა რიგებიდან ახალი წევრების მიღების გზით.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მესამე კონფერენციის მზურავლად მიესალმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი რ. ზამბროვსკი.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ჭიმური კომბინატის „ლეინა-ვერკეს“ დირექტორი ვ. შირმერი, საფეიერო ფაბრიკის „გარნფერეიდ-ლუნგს-ვერკეს“ დირექტორი ანგეს შტეინეკე, კლაინეირნლებენის თემის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის თავმჯდომარე კ. ბრაუნი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ნიბრანდენბურგის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. შტეფენი, მეშკინარეობის ინსტიტუტის უპარტიო პროფესორი ობერდორფი, რომელიც სტუმრად ესწრება კონფერენციას, და სხვები.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 26-ე პლენუმი

ბერლინი, 24 მარტი. (საკდესი). აღნ-ის საგენტოს ცნობით, 22 მარტს გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 26-ე პლენუმი, რომელზეც განხილეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგები.

პლენუმის რეზოლუციაში, რომელიც საგენტომ გადასცა, კერძოდ, ნათქვამია:

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იწონებს პოლიტბიუროს ცნობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგები. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას უცვლადს ძმურ გრძნობებს და იწონებს მისი XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ამ გადაწყვეტილებებს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ისინი ადასტურებენ, რომ სოციალიზმი გახდა საუკუნის მოწინავე იდეა და აუცილებელია კაცობრიობისათვის.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა ხალხს ულოცავს სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით დამთავრებას.

პლენუმის რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის ძლიერება, ავტორიტეტი და გავლენა საერთაშორისო განვითარებაზე არასოდეს ისე ძლიერი არა ყოფილა, როგორც დღეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი უდიდეს გავლენას ახდენენ მთელ მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანებზე, რადგან ეს ყრილობა ცხადყოფს, რომ სოციალიზმის მძლავრი მსოფლიო სისტემის არსებობის პირობებში არის შესაძლებლობა, რომ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საქმემ გაიმარჯვოს ომისა და რეაქციის ძალებზე ყველა ქვეყანაში, სადაც ხალხის მასები ამას ესწრაფვიან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ საერთაშორისო მუშათა კლასს, ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს უჩვენა მშვიდობის შენარჩუნების რეალური პერსპექტივა.

ყოველივე ეს, ხაზგასმით აღნიშნულია რეზოლუციაში, გერმანიის მუშათა კლასს აკვალებს განიმსჭვალოს შეგნებით, რომ მასაც აკისრია პასუხისმგებლობა ევროპის მშვიდობის შენარჩუნებისათვის და გაიგოს, რომ უკვე დღეს იგი არის ისეთი ძალა, რომელსაც აქვს ყველა შესაძლებლობა და ყველა წინამძღვარი, რათა ჩაშალოს გერმანელ მილიტარისტთა და „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის მომზრეთა გეგმები. ამისათვის საჭიროა შეიქმნას მთელი გერმანიის მუშათა პარტიების, პროფკავშირებისა და მუშათა ყველა ორგანიზაციის ერთიანი ფრონტი.

რეზოლუციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მიესალმება დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანების საკითხზე პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, აღნიშნულია შემდეგ რეზოლუციაში, საბჭოთა ხალხს დაუსახა კომუნიზმის გზით წინსვლის დიდი პერსპექტივები და განსაზღვრა საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების პროგრამა.

შემდეგ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე განიხილეს პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის საკითხები, აგრეთვე ზოგიერთი თეორიული საკითხი, და ხაზგასმით აღნიშნავს ამ განხილვის დიდ მნიშვნელობას გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პრაქტიკული მუშაობისათვის.

პლენუმი თავის რეზოლუციაში აღნიშნავს, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის III პარტიული კონფერენციის განსახილველად წარადგენს წინადადებებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის შემდგომი მშენებლობის შესახებ. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის III კონფერენცია, აღნიშნავს პლენუმი, ჩაივლის მარტს — ენგელს — ლენინის დროშის გარშემო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის ხალხის მასების მობილიზაციის ნიშნით.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 26-ე პლენუმის რეზოლუცია მთავრდება იმით, რომ მისალმების სიტყვებით მიმართავს საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

დასავლეთ გერმანიის ბუნდესრაგში

ბონი, 24 მარტი. (საკდესი). გუშინ ბუნდესრატში (დასავლეთ გერმანიის პარლამენტის მეორე პალატა) მოხდა საყოველთაო სამხედრო ბეგრის შესახებ მთავრობის კანონპროექტის პირველი განხილვა.

ბადენ-ვიურტემბერგის მხარის წარმომადგენლის წინადადებით ბუნდესრატმა ხმის უმრავლესობით მიიღო ამ კანონპროექტის შესწორება, რომლის თანახმად სამხედრო სამსახური დასავლეთ გერმანიის არმიაში უნდა გრძელდებოდეს არა წელიწადნახევარს, არამედ ერთ წელიწადს. ამასთან ერთად ოთხი მხარის — ბრემენის, ბავარიის, ჰესენისა და ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის წარმომადგენლებმა, რომლებსაც ბუნდესრატში 17 ხმა აქვთ 38 ხმიდან, გაილაშქრეს საყოველთაო სამხედრო ბეგრის წინააღმდეგ. ბრემენის წარმომადგენელმა ამასთან განაცხადა, რომ საერთაშორისო დაძაბულობას შენელება გვიკარნახებს, რომ საჭიროა „თავშეკავება“ ისეთი საკითხში, როგორიც არის საყოველთაო სამხედრო ბეგრის დანერგვა. ამიტომ, თქვა მან, ბრემენი უარყოფს საყოველთაო სამხედრო ბეგრის კანონს. სხვა მხარეების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ექვი გამოთქვეს, რომ საჭირო იყოს საყოველთაო სამხედრო ბეგარა, აგრეთვე აღნიშნეს, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს საშინაოპოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობას.

ამ მოსაზრებათა შედეგად ბუნდესრატმა გადადო ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა, სანამ ბუნდესტაგი მას განიხილავდეს.

ქაკ დიუკლოს გამოსვლა გრენობლში

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). გაზეთ „ლუმანიტეს“ ცნობით, გუშინ საღამოს გრენობლში გაიმართა კომუნისტების კრება, რომელსაც 5 ათასი კაცი დაესწრო. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ეკ დიუკლომ შეკრებილთ გააცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შუშაობა და გადაწყვეტილებანი და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებანი. ეკ დიუკლომ თავის სტატიაში აღნიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა დიდი მნიშვნელობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაცია ინგლისში

ლონდონი, 24 მარტი. (საკდესი). ინგლისში მყოფმა საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელექტროსადგურების მინისტრი გ. მ. მალენკოვი, დღეს დათვალიერა ქალაქ ბოულდის (ლანკაშირი) ელექტროსადგური.

საბჭოთა დელეგაციას ახლდა ცენტრალური ენერგეტიკული სამმართველოს თავმჯდომარე ლორდი სიტრინი. სტუმრებს შეხვდნენ ინგლისის ჩრდილო-დასავლეთ რაიონების ენერგეტიკული სამმართველოს უფროსი ა. რ. კუპერი, ელექტროსადგურის უფროსი რ. ტისლტონი და სხვა ოფიციალური პირები. ელექტროსადგურის თავისებურება ის არის, რომ იგი მდებარეობს შახტის მახლობლად, რომელიც ამ სადგურს უშუალოდ ამარაგებს საწვავით.

დღის მეორე ნახევარში საბჭოთა დელეგაციის წევრები დაესწრნენ ეინტრის (ლივერპულის ახლოს) ავტოდრომზე ტრადიციულ დღეს, რომელიც ინგლისის სპორტული ცხოვრების ერთ-ერთი უდიდესი მოვლენაა.

ლონდონი. 25 მარტი. (საკდესი). დღეს საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელექტროსადგურების მინისტრი გ. მ. მალენკოვი, გაეცნო ფლიტვუდის (ბლეკპულის ახლოს) ახალ ელექტროსადგურს. დელეგატებმა აღნიშნეს, რომ სამშენებლო სამუშაოები კარგად არის შესრულებული, და ყურადღება მიაქციეს მართვის ფარზე ხელსაწყოთა მოხერხებულად განლაგებას.

საბჭოთა ენერგეტიკოსებს მიესალმნენ საადგურის მუშები და ხელმძღვანელები, აგრეთვე ქალაქ ფლიტვუდის მერი. საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად გაიმართა საუზმე, რომელიც გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

ფლიტვუდში მიმავალი დელეგაციის წევრები მოკლე ხნით შეჩერდნენ ბლეკპულში, სადაც დათვალიერეს მეშახტეთა დასასვენებელი სახლი.

დელეგაცია განაგრძობს მოგზაურობას ინგლისში.

ხელი მოაწერეს შეთანხმებას სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შესახებ

ქაბული, 26 მარტი. (საკდესი). წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკება სსრ კავშირისა და ავღანეთის მთავრობის დელეგაციებს შორის, რომელიც მეგობრობისა და ურთიერთგაგების ფითარებაში მიმდინარეობდა, რის შედეგად 24 მარტს ქაბულში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის შეთანხმებას სსრ კავშირისა და ავღანეთს შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დაწესების შესახებ.

შეთანხმებას, რომელსაც საფუძვლად უდევს ნაცადლებანა და ორივე ქვეყნის ინტერესების დაცვის პრინციპი, ხელს მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობის რწმუნებით დელეგაციის მეთაურმა ნ. ა. ბახაროვმა, ავღანეთის მთავრობის რწმუნებით დელეგაციის მეთაურმა ამდულ ჰაი ახიზმა. შეთანხმების ხელმოწერას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის მხრივ სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი, საბჭოთა დელეგაციის წევრები, საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლები; ავღანეთის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მუჰამედ ჰაშიმ მეიანდაული, დელეგაციის წევრები, ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის სანაოსნო მიმოსვლის მომავალი გახსნისათვის

დელი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, გუშინ სახალხო პალატაში გამოვიდა ინდოეთის გზათა მინისტრი შასტრი და განაცხადა, რომ მალე ხელმოწერილ იქნება შეთანხმება ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს შორის სანაოსნო მიმოსვლის გახსნის შესახებ ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარების მიზნით. ინდოეთისა და საბჭოთა კავშირს ნავსადგურებს შორის სანაოსნო ხაზზე ივლის საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის 10-ზე მეტი გემი.

სპორტის ამბები

უძლიერესთა შეხვედრები წყალბურთში

კიევი. 24 მარტი. (სპეც. კორ.). დაიწყო სსრ კავშირის უძლიერეს წყალბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა.

შეჯიბრების პირველ დღეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „ბურევესტნიკის“ წყალბურთელთა შეჯიბრება დამთავრდა „ბურევესტნიკის“ გამარჯვებით ანგარიშით 2:1. მომდევნო მატჩი გაიმართა ლენინგრადის „ბურევესტნიკისა“ და თბილისის „დინამოს“ შორის. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა 4:2. საბჭოთა კავშირის პირველი და მეორე ნაკრები. გუნდების ასპარეზობა დამთავრდა მეორე ნაკრები გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ვოდნიკი“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (ლვოვი) 2:2, კასპიის ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის გუნდი (ბაკო) — „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) 1:0, „ბურევესტნიკი“ (კიევი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 4:3.

კიევი. 25 მარტი. (სპეც. კორ.). შეჯიბრების მეორე დღის შედეგები ასეთია: „დინამო“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) 2:3, სსრ კავშირის მეორე ნაკრები — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 7:1, „ვოდნიკი“ (ლენინგრადი) — სსრ კავშირის პირველი ნაკრები 1:4, კასპიის ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის გუნდი (ბაკო) — „დინამო“ (ლვოვი) 4:4, „ბურევესტნიკი“ (კიევი) — „შრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) 3:2, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბი — „ტორპედო“ (მოსკოვი) 3:2.

ამხანაგური მატჩები

25 მარტს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა მორიგი ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ სტალინგრადის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდები. მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 5:0.

ლესელიძე, 26 მარტი. (სპეც. კორ.). გასული წლის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ“ გუშინ აქ გაიმართა XVIII ჩემპიონატისწინა უკანასკნელი საკონტროლო მატჩი ფეხბურთში. დინამოელთა წინააღმდეგ თამაშობდნენ ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ ფეხბურთელები. მატჩი მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 3:1.

ადლერი, 26 მარტი. (სპეც. კორ.). აქ გაიმართა დედაქალაქის „ლოკომოტივისა“ და მინსკის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეჯიბრება. მატჩის შედეგია 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

ჩემპიონები ფიგურულ ციგურაობაში

არხანგელსკში დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება ფიგურულ ციგურაობაში. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედლები მოიპოვეს ე. ბოგდანოვამ („დინამო“) და ლ. მიხაილოვამ („სპარტაკი“), წყვილთა შორის — დინამოელებმა ლ. გერასიმოვამ და ი. კისელიოვამ.

გუნდურ შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ფიგურულ მოციგურავეთა კოლექტივი.

რესპუბლიკური ჩემპიონატი ჭადრაკში

25 მარტს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. დემურიამ მოუგო რაზოვსკის, შიშოვმა — კაკიაშვილს, გიორგაძემ — გერშკოვიჩს. მაკავარიან-კაკიაშვილის, ბუსლაევ-გურგენიძისა და შიშოვ-რაზოვსკის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

15 ტურის შემდეგ წინ არიან ბუსლაევი და შიშოვი, რომლებსაც თორმეტნახევარი ქულა აქვთ თვითეულს. გურგენიძეს აქვს 11,5 ქულა, გიორგაძეს — 10,5 ქულა.

დღეს გაიმართება მე-16 ტური.

გურიატ-მონღოლეთის ხალხური ხელოვნება

როგორც წინა თეატრალურ სეზონებში, ისე წელსაც ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის მრავალი თვალსაჩინო კოლექტივი და ინდივიდუალური შემსრულებელი მოდის სტუმრად ჩვენს რესპუბლიკაში.

სოხუმში გამართული კონცერტის შემდეგ 25 მარტს თბილისს საგასტროლოდ ეწვია ბურიატ-მონღოლეთის ასსრ ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. რკინიგზის სადგურზე სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს თბილისის ხელოვნების მუშაკებმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ დედაქალაქ ულან-უდეს საზოგადოებრიობას ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები შარშან გააცნო საქართველოს სახელმწიფო ანსამბლმა საგასტროლო კონცერტების დროს. ბურიატ-მონღოლეთის სახელმწიფო ანსამბლი ამჟამად პირველად აჩვენებს საქართველოს მშრომელებს თავისი ხალხის ხელოვნებას. მისი პირველი კონცერტი გაიმართა 25 მარტს ფილარმონიის საზამთრო თეატრში.

კონცერტზე მაყურებელმა ნახა ბურიატ-მონღოლეთის ეროვნული საკრავები — ხური, შანზა, ლიმბა, სური და სხვ. ორკესტრთან ერთად გუნდმა წარმატებით შეასრულა „სიმღერა პარტიაზე“, „სიმღერა ბაიკალზე“. მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა საბალეტო ჯგუფის მიერ შესანიშნავად შესრულებულმა ცეკვამ „საკოლმეურნეო-საცეკვაო სიუიტამ“, ხალხურმა ცეკვებმა — „მენდემ“, „ეხორმა“. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდათ ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახალხო არტისტებს ტ. გერგესოვას, რომელმაც შეასრულა ინდური და ტუვური ცეკვები, ც. ხაბაროვს, რომელმაც ეროვნული საკრავების კვარტეტის თანხლებით შეასრულა სიმღერები — „სუფრული“, „ხალხთა მეგობრობა“, „ბრძენი პარტია“ და სხვ.

რუსი და სხვა ხალხების სიმღერების შესრულებით გამოირჩეოდნენ დამსახურებული არტისტი მ. ჩაივანე და სოლისტი ჩ. შანიუშკინა.

ანსამბლის შემოქმედებითს დაოსტატებასა და წარმატებებში დიდი ღვაწლი მიუძღვით სამხატვრო ხელმძღვანელსა და ბალეტმეისტერს ბურიატ-მონღოლეთის ასსრ დამსახურებულ არტისტს მ. არსენიევს, მუსიკალურ ხელმძღვანელს ჩ. პავლოვს და დირიჟორ-ხორმეისტერს მ. სკოლჩიკოვას.

ანსამბლის შემოქმედებითს ზრდას დიდ ყურადღებას უთმობს დამდგმელი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი გომბო ციდინჟაპოვი.

დღეს ანსამბლი კონცერტს გამართავს რუსთავში, ხოლო 30 მარტს მოეწყობა ანსამბლის შემოქმედებითი შეხვედრა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლთან.

ბ. აბესაძე.

• • •

სურათზე: ბურიატ-მონღოლეთის სახელმწიფო ანსამბლი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ნ. პეჩკოვსკის გასვლრლები

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლებში წარმატებით გამოდის ცნობილი ნიჭიერი მომღერალი ნ. პეჩკოვსკი (ტენორი).

20 და 23 მარტს ოპერებში „პიკის ქალსა“ და „კარმენში“ ნ. პეჩკოვსკის შესასრულა გერმანისა და ხოზეს პარტიები.

27 მარტს იგი მონაწილეობას მიიღებს კონცერტში, ხოლო 29 მარტს და 3 აპრილს კვლავ გამოვა პ. ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალში“, 31 მარტს — ჟ. ბიზეს ოპერაში „კარმენში“.

გ. იოსელიანის შემოქმედების აღსანიშნავი საღამო

ამ დღეებში ფილარმონიის საზამთრო თეატრში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და სახელმწიფო ფილარმონიამ გამართეს რეჟისორ გ. იოსელიანის შემოქმედების 30 წლის აღსანიშნავი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პოეტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ი. გრაშვილმა. გ. იოსელიანის რეჟისორული შემოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა თეატრმცოდნე ს. გერასიმიამ.

საღამოზე იუბილარს მიესალმნენ დედაქალაქის თეატრების წარმომადგენლები. დასასრულ გართმართა კონცერტი.

ფოთის სახელმწიფო თეატრში

ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ახალი სპექტაკლი — ვ. კანდელაკის ჰეროიკული კომედია „მაია წყნეთელი“.

პიესა დადგა რეჟისორმა ს. კალანდარაშვილმა, მხატვრულად გააფორმეს ი. ასკურავამ და ჯ. კვალიაშვილმა, მუსიკა დაწერა ა. ჩორგოლაშვილმა.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ მსახიობები ჟ. ჩხეიძე, გ. ებრალიძე, ა. დობორჯგინიძე, რ. ბარამიძე, ვ. კუკია, ა. შონია და სხვები.

ამავამად თეატრი ამზადებს გ. ქელბაქიანის პიესას „განა ეს სიყვარულია?“.

1956 წლის 28 მარტს საღამოს 8 საათზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი, 29) შედგება აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა საქალაქო თათბირი.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. მიკრობიოლოგიის კათედრის გამგე — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი), კათედრის დოცენტი — 1 (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი), ასისტენტი — 2,5.
2. ჰისტოლოგია-ემბრიოლოგიის კათედრის გამგე — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი), ასისტენტი — 1.
3. ბავშვთა ინფექციური სნეულებათა კათედრის გამგე — 1 (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი), ასისტენტი—1,5.
4. ინფექციური სნეულებათა კათედრის პროფესორი — 1 (ვაკანტური თანამდებობა. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი).
5. რუსული ენის კათედრის გამგე — 1 (ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი).
6. სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის ტუბერკულოზის კურსის ხელმძღვანელი — 0,5 (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი).
7. ფარმაკოგნოზიის კათედრის ბოტანიკის კურსის ხელმძღვანელი — 0,5 (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატი).

განცხადება კონკურსის შესახებ ინსტრუქციით გათვალისწინებული საბუთებით წარმოდგენილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (თბილისი, მელიქიშვილის ქ. № 10).

კონკურსს ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ევგენი ონეგინი (დილას), ილარტა და კონცერტი ნ. პეჩკოვსკის მონაწილეობით (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — გლახის ნაამბობი (დილა-საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — რას იტყვის ხალხი (ახალი სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — პიროველ გაზაფხული (დილა-საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ლადი ქარი (დილას), საყვარელი დასვენილი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (ამონიმენტი № 32, 12 ს.), კოტე მეწოსკვილე (ამონენმენტი № 47, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ნაცარქექია (11 ს. და 6 ს.), თოჯინების ქართული — ბურატინოს თავგადასავალი (11 ს.), ნატვრისთვალი (3 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, თბილისი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — მწვანე ჩირაღდნები, ამირანი, სპარტაკი—მოგზაურობა არგენტინაში, **კომკავშირელი**, **კოლხიდა**, **კიროვის სახელობის** პარკი, **ოფიცერთა** სახლი, **კომუნარების** ბაღი— რუმიანცევის საქმე, **26 კომისრის** სახელობის, დიდუბე, **გორკის** სახელობის **კულტურის** სახლი — მე და ჩემი ცოლი, **კოლმეურნე**, **ძერჟინსკის** სახელობის **კლუბი** — გაცრუებული ოცნებები.

ცენტრალური თეატრალური სალარო

პლეხანოვის პრ. № 118, ტელ. 3-54-18.

27 მარტს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში დილის სპექტაკლი არ შედგება. 27 მარტისათვის დილის სპექტაკლზე შეძენილი ბილეთები ვარგისია 1 აპრილის დილის წარმოდგენაზე, ხოლო 1 აპრილისათვის წინასწარ შეძენილი ბილეთი დილის წარმოდგენაზე უფასოდ ვარგისია და საჭიროა დაუყოვნებლივ დაბრუნდეს შეძენის ადგილას. ცენტრალური თეატრალური სალარო მუშაობს ყოველდღე, შესვენებისა და გამოსასვლელი დღეების ჩათვლით, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე, წინასწარ ჩყიდის და თავისი რწმუნებულების საშუალებით ყველა დაწესებულებაში, ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ავიცელებს ბილეთებს და იღებს დაკვეთებს კოლექტიური მსვლელობისათვის: რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის, გრიბოედოვის სახელობის, შაუმიანის სახელობის (სომხური) სახელმწიფო თეატრებში და სახელმწიფო ცირკში.

ყოველგვარი ცნობებისათვის დარეკეთ 3-54-18.

ცენტრალური თეატრალური სალაროს დირექცია.

მარიეტა და გიორგი მღებრიშვილები იუწყებიან დედის
ოლგა დიმიტრის ასულ აბდუშელიშვილის
გარდ